მერაბ კეზევაძე

გელათის მონასტრის საგანძურის ისტორიიდან 1918-1923 წლებში

შესავალი

გელათის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში სრულიად საქართველოს საეკლესიო ნივთ-სამკაულთა ერთერთი უდიდესი და უმდიდრესი განძთსაცავი იყო. აქ ინახებოდა, როგორც ადგილზე შექმნილი და სხვადასხვა პიროვნების მიერ მონასტრისათვის შეწირული საოქრომჭედლო ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, ასევე საქართველოს სხვადასხვა მხრიდან დასაცავად გადმოტანილი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო განძეულობა. მტერთა თავდასხმებისა და ძარცვის მიუხედავად, აქ, XX საუკუნის 20 -იანი წლების დასაწყისამდე, კერძოდ, 1923 წლამდე - მონასტრის გაუქმებამდე, ინახებოდა მრავალი უძველესი ხელნაწერი, ძვირფას ლითონზე შესრულებული ჭედურობის უნიკალური ნიმუშები და სხვა ნივთები, რომელთაც შემდეგ საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში დაიდეს ბინა.

გელათის მონასტრის ისტორიაში განსაკუთრებით მძიმე იყო რუსული ეგზარქოსობის პერიოდი, როდესაც რამდენჯერმე მოხდა ძარცვა, დაყაჩაღება, თუ საეკლესიო ნივთ-სამკაულის მითვისება. საეგზარქოსოს მმართველობა და სასამართლო-საპოლიციო დაწესებულებები არასოდეს იყვნენ მონდომებულნი დანაშაულის გახსნით, პირიქით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საგანძურის საიმედოდ დაცვას და ხშირად მძარცველთა ხელშემწყობადაც კი გამოდიოდნენ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (12(25) მარტი 1917 წ.), ახალი ეპოქა დაიწყო გელათის მონასტრის ისტორიაში, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა მონასტრის საგანძურის მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე. ქვეყანაში არსებული შიგა და გარე პოლიტიკური მდგომარეობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა, რასაც, როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებაც შესაბამისად იჩენდა.

მეთოდი

სტატიაში გამოყენებულია სხვადასხვა წერილობით წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის, შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები.

შედეგები

სტატიაში შესწავლილია გელათის მონასტრის საგანძურის ისტორია 1918-1923 წლებში. გადმოცემულია დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისა და საბჭოთა მთავრობის გაწეული საქმიანობა საგანძურის დაცვის მიზნით, ასევე ცალკეულ საერო და სასულიერო პირთა როლი და დამსახურება მონასტრის საგანძურის დაცვის საქმეში.

საარქივო დოკუმენტებით ვგებულობთ, რომ ავტოკეფალიის აღდგენიდან მალე, მონასტრის წინამძღვრის დანიშვნამდე, საერო ხელისუფლებას,

კერძოდ, ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს მონასტრის სალარო დაულუქავს და მონასტრის კრებულისათვის გასაღებიც ჩამოურთმევია. ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის გელათის მონასტრის პირველი წინამძღვარი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე) ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონისათვის (გიორგაძე), 1917 წლის 2 ნოემბერს გაგზავნილ წერილში აღნიშნული ფაქტის გახსენებისას, წერდა: „გელათის მონასტერში წინამძღვრად ჩემს დანიშვნამდე სრულიად საქართველოს ეკლესიის მართველობის იმერეთის განყოფილების განკარგულებით მონასტრის სალარო დაუბეჭდიათ კლიტით და გასაღები წაუღიათ ქუთაისში ვგონებ ბ. ტრიფონ ჯაფარიძეს. ამ ჟამად მე, როგორც პასუხის მგებელს წინაშე ჩვენი საეკლესიო მთავრობისა მონასტრის ყველა საქმეებში, მჭირდება სალაროს ნახვა ჩასაბარებლად და მოსავლელად, რომ არა გაფუჭდეს რა.

მოგახსენებთ რა ამას, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს მეუფებას ბრძანოთ განკარგულება ხსენებული გასაღების გადმოცემისათვის ჩემზე“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.26517 ფ.1). მიტროპოლიტმა არქიმანდრიტის მოთხოვნა სამართლიანად მიიჩნია და საკითხის მოსაგვარებლად ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს მიმართა, საიდანაც 1917 წლის 29 დეკემბერს ასეთი პასუხი მიიღო: „ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა თავის სხდომაზე 27 ნოემბერს გელათის მონასტრის გასაღების საკითხის შესაღებ დაადგინა, რომ მონასტრის გასაღები გადმოგეცესთ თქვენ; მონასტრის გაღება ხდებოდეს თქვენის განკარგულებით და ყოველი გაღების შემდეგ გასაღები უნდა ინახებოდეს თქვენთან.

კომიტეტმა გამოსთქვა სურვილი, რომ ადგილობრივათ, მონასტერში გასაღების მიტოვება საშიშია, ვინაიდგან მოსალოდნელია ავაზაკების მიერ გასაღების მოტაცება და მონასტრის სიმდიდრეთა გაქურდვა.

გასაღებს გაახლებთ თქვენს მიერ ცნობის მიღებისთანავე

კომიტეტის თავმჯდომარე გრ. ურატაძე“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.26517 ფ.2, 3).

ამ წერილებიდან კარგად ჩანს როგორც სიფრთხილე, ასევე პასუხისმგებლობა მონასტრის საგანძურის დაცვაზე. დაცვის გაძლიერებას ისახავდა მიზნად, ასევე 1917 წლის დეკემბერში, მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის ქუთაისის გუბერნიის კომისრისათვის გაგზავნილი თხოვნა, მონასტერში ერთი მილიციელის დამატებაზე და, მოქმედი მილიციელისათვის ვინტოვკის გამოყოფაზე (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.26516 ფ.1) გელათის მონასტრის მცველისათვის. როგორც აღვნიშნეთ, საფრთხეს წარმადგენდა იმჟამინდელი საქართველოს საგარეო მდგომარეობაც. 1918 წლის მარტში რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ბრესტის საზავო ხელშეკრულების შემდეგ, თურქეთმა დაიწყო საქართველოს ტერიტორიების დაკავება. ფაქტიურად დაიწყო ომი, რომელმაც სხვა საზრუნავთან ერთად, დღის წესრიგში დააყენა ჩვენი ეკლესია-მონასტრების განძეულობათა სათანადო დაცვა. ამ საკითხზე 1918 წლის 3 აპრილს იმსჯელა საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ და დაადგინა: „ეცნობოს საქართველოს საკათალიკოზოს საეპარქიო საბჭოებს, წინადაუდონ სამრევლო საბჭოთ, იზრუნონ ადგილობრივ სიწმინდეთა დაცვისათვის“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.27374 ფ.3). ცირკულიარის სახით, თბილისიდან 10 აპრილს გამოგზავნილი ეს დადგენილება 12 აპრილს მიიღო

ქუთაისის საეპარქიო საბჭომ (საკათალიკოსო საბჭოს ამ გადაწყვეტილების შესრულება იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ 1918 წლის 23 მაისს განმეორებით გადმოუგზავნა ქუთაისის საეპარქიო საბჭოს - მ.კ.), ამ დროისათვის ქუთაისში შესაბამისი გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ გელათის მონასტრის საგანძურის დაცვაზე, უკვე მიღებული იყო სოფელ გელათის მცხოვრებთა საგანგებო კრების „ოქმი-დადგენილება“. როგორც ცნობილია, გელათის მონასტრის საგანძურს ათწლეულების განმავლობაში ერთგულად იცავდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები ჯანგავაძეების, მაწკეპლაძეების, კეზევაძეების, დოღონაძეების, ტყაბლაძეების, ჭირაქაძეების და დადუნაშვილების გვარიდან, რომლებიც მცველებად მსახურობდნენ მონასტერში. მათ გარდა, მონასტერს საჭიროების შემთხვევაში, ყოველი გელათელი თავდადებით იცავდა. ამის დასტურია მათი აქტიურობა 1904 წლის 19 ივლისს მომხდარი ყაჩაღობის დროს, რამაც ყაჩაღებს საშუალება არ მისცა, უფრო მასშტაბური ძარცვისა, და 1918 წლის 3 აპრილს შემდგარი გელათელთა საგანგებო კრების „ოქმი-დადგენილება“.

კრების „ოქმი-დადგენილება“ გვაცნობს, რომ „კრება გაიხსნა ამა 1918 წ. 3 აპრილს დილის 7 საათზედ, თომა ტყაბლაძის თავმჯდომარეობით და აფთონ ჭირაქაძის მდივნობით გელათის მონასტერთან.

საკითხი იყო გასარჩევი პირველ სოფელ გელათის მცხოვრებთა და შემდეგ მთელი საქართველოს მოქალაქეთა ავლა-დიდების გელათის მონასტრის ნივთების შენახვის თაობაზედ ამ ომის ქარცეცხლის დროს, რაშიდაც გელათლები სცნობენ თავიანთ თავს პირველ დარაჯათ ყოველ დანარჩენ ქართველებზედ, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი და ამა ქონების ჭირ-ვარამის ყველაზედ უწინ ანგარიშის გამწევნი.

ვიქონიეთ რა მსჯელობა ამა საკითხზედ, ჩვენ ყველანი, ს. გელათლები, ვსცნობთ მოვალეთ ამ დიად საქმეშიდ ზომების მისაღებად ქუთათელ მიტროპოლიტის პატივცემულ საბჭოს და ერთხმად ავირჩიეთ სამი სანდო პირი ხსენებულ საბჭოსთან ამა საქმის მოსაგვარებლად, მოსალაპარაკებლად: 1. არჩილ ივანეს ძე ცირღილაძე, 2. მედავითნე ლუკა ჭირაქაძე, 3. კოსტა სპირიდონის ძე დოღონაძე. ამ სამ პირს ევალებათ ამავე საათშიდ მივიდნენ სამიტროპოლიტო საბჭოშიდ და ეხლავე მოგვიტანონ პასუხი ს. გელათშიდ, სადაც მათ უცდის კრება„ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.27374 ფ.2). დოკუმენტს ხელს აწერენ თავმჯდომარე, მდივანი და დამსწრეებიდან ცხრა კაცი: კალისტრატე ჯანგავაძე, კირილე ცირღილაძე, ბარნაბა კეზევაძე, რაჟდენ მაწკეპლაძე, ერმილე ჯანგავაძე, ირაკლი დადუნაშვილი და სხვ.

დამოწმებული საარქივო საქმიდან ვგებულობთ, რომ ქუთაისში მიტროპოლიტთან ჩასულ ნდობით აღჭურვილ პირებს მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი გელათში წამოყოლია და, როგორც მისი რეზოლუციიდან ჩანს „ჯეროვანი განკარგულება“ მოუხდენია (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.27374 ფ.2). „ჯეროვანი განკარგულება“, როგორც სხვა დოკუმენტებით ირკვევა, იყო მონასტრის განძეულობის გადამალვა და ღმრთისმშობლის შობის ტაძრის დაკეტვა და დალუქვა თავად ანტონ ქუთათელის თანდასწრებით (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით, ქვემოთ, არქიმანდრიტ ნიკოლოზის განცხადებაში ნახავთ - მ.კ.). ტაძარი ღვთისმსახურებისათვის საკმაო ხანს ყოფილა დაკეტილი, ასე

რომ, 1918 წლის სექტემბერში, როდესაც მონასტრის კრებულმა გელათის მონასტრის დღესასწაულის (ღვთისმშობლობის) აღნიშვნა ითხოვა, ქუთაისის საეპარქიო საბჭოსაგან პასუხად მიიღო: „ვინაიდგან შიშიანობას ჯერ არ გაუვლია და მონასტრის ძვირფასი ნივთების უზრუნველყოფა სახიფათოა, ამისთვის მღვდელმოქმედება ამ დღეს შესრულდეს წმ. გიორგის ტაძარში, ხოლო დიდი ტაძარი ისევ დაცული იყოს, როგორც დღემდის“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.27374 ფ.4).

გელათის მონასტრის განძეულობის დაცვის ამ ერთ პატარა ეპიზოდში საინტერესოა შემდეგი ფაქტი - განძეულობის დაცვაზე ერთიდაიმავე დღეს მსჯელობდა თბილისში საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და გელათში ადგილობრივი მცხოვრებლების კრება, გადაწყვეტილებაც ორივემ ერთნაირი და ღირსეული მიიღო. გელათელთა ამ გადაწყვეტილებით ყოველთვის იამაყებს არა მარტო თითოეული გელათელი, არამედ ნებისმიერი ღირსეული ქართველი.

საიმედოდ შენახული, დალუქული გელათის მონასტრის საგანძური მაინც იწვევდა ეჭვს, ხომ არ ეხებოდა ვინმეს მსახვრალი ხელი ამ სიწმინდეებს.

1919 წლის მარტში, გელათელმა „სამონასტრო კომისიის თავმჯდომარემ, ზემოთხსენებული კრების მდივანმა აფთონ ლუკას ძე ჭირაქაძემ გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 1919 წლის 28 მარტის N69-ში ბრალი დასდო მონასტრის დროებით მმართველს, ეკონომოსს მღვდელ-მონაზონ ზენონს (პოლიკარპე მენაბდე) მონასტრის ქონების მითვისებასა და დაუცველობაში, ა. ჭირაქაძემ იგივე ბრალდებები ქუთაისის სამიტროპოლიტო საბჭოსაც მოახსენა განცხადებით.

1919 წლის 7 აგვისტოს მღვდელ-მონაზონმა ზენონმა თხოვნით მიმართა მიტროპოლიტ ნაზარს, რათა დაეჩქარებინა გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით (უფრო ადრეც, ორჯერ საქმის პროკურორზე გადაცემაც კი უთხოვია), თხოვნაში იგი დასძენს „მე ვიქმენი დანიშნული ეკონომოსად და დამცველად მონასტრის ქონებათა წარსული 1911 წლის ივნისის თვეში და უმორჩილესად გთხოვთ დანიშნულ დროიდან, ჩემი ეკონომოსობიდან, რა მდგომარეობაში ყოფილან ხატები და ქონება იქნეს გამორკვეული დაკვირვებით და თუ ჩემზე აღძრული საჩივარი მართალი გამოდგეს მე მაშინ სასტიკად ვიქმნე დასჯილი და უკეთუ აღმოვსჩნდე მართალი და საჩივარი ჩემზე აღძრული ა.ლ. ჭირაქაძისაგან ცილის-წამება და ყალბი გამოდგეს, იმ შემთხვევაში გთხოვთ მიბოძოთ შესაფერისი მოწმობა წარსადგენელად, სადაც ჯერ არს“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.28081 ფ.2).

როგორც ჩანს, მღვდელ-მონაზონ ზენონს თავის სიმართლეში რწმენას მატებდა, 1919 წლის 23 ივნისს, მისივე მონაწილეობით მომხდარი მონასტრის დალუქული ხალამბრის (განძთსაცავის) შემოწმება რომელიც, ჩემის აზრით, ა. ჭირაქაძის სამიტროპოლიტო საბჭოში შეტანილი განცხადების გამო მოხდა. უფრო ადრე, 9 თებერვალს ხალამბარა თავად ზენონის საჩივრის საფუძველზე შემოწმდა, ასევე, მისი თანამონაწილეობით, შემონახულია 1919 წლის 23 ივნისის შემოწმების ოქმი, რომელშიც ვკითხულობთ: „1919 წლის 23 ივნისს სამიტროპოლიტო საბჭოს დავალებით საბჭოს წევრებმა დეკანოზმა თომა დუგლაძემ და სამსონ ყიფიანმა ადმინისტრაციის წარ-

მომადგენელთან ა. შენგელიასთან ერთად და გელათის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის და ამავე მონასტრის დროებით მმართველის მღვდელ-მონაზონ ზენონის თანდასწრებით გააღეს ლუქით დაბეჭდილი გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის კარები და ხალამბარა. ხალამბარაში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: 1. საარხიმანდრიტო ჯვარი კოლოფში, აგრეთვე 1 ჯვარი, რომელსაც აქაიქ სამკაული ქვები აკ-ლია, 1. ძველი სანაწილე-ხის კოლოფი, რომელშიდაც ბევრს ადგილას ნა-წილები აღარ არის, ერთი ლითონის სანაწილე თავის ძეწკვით და შიგ სხვადასხვა ნაწილები ქაღალდში გახვეული, რომელ სანაწილეზედაც წარ-წერა იწყება ასე: „ქ. ემანუილ“ და სხვა, 1. სამღვდელო ჯილდოს ჯვარი, 1. ვერცხლის სანაწილე მღვდელ-მონაზონი თეოდორესაგან შეწირული ხუთი ვერცხლის სანაწილე სხვადასხვა ზომის - ერთზედ ღვთისმშობლის და წმიდა გიორგის ხატია ამოჭრილი, მეორე პატარაზე-ღვთისმშობლისა, ერთი პატარა ხატი ხეზე გადაკრული, ერთი ხატზე მომძვრალი ოქროს ხუთქვიანი ნატეხი, ერთი სანათლავი ჯვარი ოქროსი წარწერით“... კიდევ პატარა სანათლავი ჯვარი წარწერით „ Гавриил Архангел“ ერთი პატარა ოქროს ჯვარი ქვებით შემკული და ჯვარზე მოტეხილი სამკაული ქვებით (6 ქვა), თვრამეტი წვრილი მარგალიტი ცხვირსახოცში გამოხვეული, ერთი ოქროს სიმი ათ რგოლად ხვეული, ვერცხლის სიმები და სხვადასხვა ზომის ვერცხლის აკვნები-ერთზედ ბეჭედია მიკრული და ესენი ქაყალდში გამოხვეული, ორი ოქროს მედალიონი, იმათგან ერთს აქვს ორი თვალი, ორი ოქროს საყურე ქაყალდზე დაკიდებული თითეულზე ორ-ორი თვალი, ერთი ბროშკა ჯვარზე დაკიდებული სამი თვალით - ოქროს ბროშკაც და ჯვარიც, ოთხი თავი შანდლის მოწყობილობა ვერცხლის, ორი ცხვრის რქაზე წამოსაცმელი ვერცხლის რგოლი, ორი ძველი ეჟვანი ვერცხლის, რვა ცალი ვერცხლის პერანგის ხატის ნატეხი, ორი ვერცხლის მძივი სინაზე წამოცმული, ორმოცდარვა ცალი რუსის ვერცხლის წვრილი ფული მათ შორის ერთი მანათიანი და ერთი ათშაურიანი, ორი უცხო ქვეყნის წვრილი ვერცხლის ფული, ერთი ჯვარი ეკვდერიდან გამოტანილ-ძველი ხელოვნებისა და იშვიათი ქვებით შემკული, ერთი ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვერცხლის, ერთი უბრალო ზეთის კანდელი-სასანთლე ძეწკვით, დამტვრეული სასანთლე ვერცხლის და ამის შესახებ ცნობის ბარათი იქვეა ჩადებული, ერთი ღრუბელი, ხუთი ნაჭერი ხატის პერანგის ნატეხი (პატარეები), შემოწირული ვერცხლის სიმები და ვერცხლის აკვნები სხვადასხვა ზომის, ერთი პატარა სანაწილე შიგ აწყვია ბარძიმი, ორი კოვზი, ორი პატარა სიწმინდის კოლოფი და ყველა ეს მოოქროული ვერცხლია, ერთი შავი სევადიანი ვერცხლის სანაწილე, სპიჩკის კოლოფში 37 თათრული ფარა, ძაფზე აცმული წვრილი მარგალიტები. შემოწირული ქაყალტში გახვეული და მასთან ხატებზე მომძვრალი წვრილი და სხვილი მარგალიტები სიმებზე აცმული და ქვები და ხატებზე ამოვარდნილი ქვები და თვლები და წვრილი ვერცხლის ნატეხები ერთ უბრალო სანაწილეშია მოქცეული- მათშორის ერთი პატარა ღვთისმშობლის ვერცხლის ხატია, შესამოსელზე მომძვრალი ძვირფასი თვალ-მარგალიტით ნაქარგი ესეც იმავე სანაწილეში, ორი ვერცხლის ბალთი, ორი ცხვრის რქებზედ მონაჭედი

ვერცხლის სალტი ოცდაექვსი ნატეხი ვერცხლის ხატის პერანგისა და მათში უბრალო ლითონისა ქაყალტში გახვეული ზონრით შეკრული ერთი შეკვრა თითის ბეჭდები რიცხვთ 21 , მათში ზოგი ოქროსი, ზოგი ვერცხლის და ზოგიც უბრალო ლითონისაც სხვადასხვა ზომისა, ერთი ძველებული გვირგვინის ნატეხი, ერთი პატარა ხავერდის ქალის საფულე, ორი საყურე და ორი ბეჭედი ფირუზის თვალებით ოქროსია, ერთი დიკირი, და ერთი ტრიკირი, ერთი კვერთხი სპილოს ძვლით, ერთი მაცხოვრის ხატი ხის, ორი რგოლის ძველებული გვირგვინი, ერთი რიპირის ვერცხლით მოჭედილი ტარი, ერთი დამტვრეული კვერთხი სპილოს ძვლით შემკული და სადაფით მოჭედილი, ერთი უბრალო მიტრა, ერთი მოქარგული უბრალო ოლარი, ერთი ძველი ლახვარი სპილოს ძვლის ტარით, ერთი სახარება რუსული ხელობისა უბრალო, ხუთი სპილენძის შაურიანი, ერთი ვერცხლის აბაზიანი და ერთი სამშაურიანი, ერთი ეგვიპტის ფარა, ერთი ვერცხლის რგოლი-ბეჭედი, ერთი ვედრების ღვთისმშობლის დიდი ხატი მაცხოვრის, ძვირფასი.

ფული აღმოჩნდა ექვსი ათას შვიდასორმოცდაცამეტი მანეთი და ორმოცდაცამეტი კაპ.“ (ოქმში ჩამოთვლილია ფულის სახეობები - მ.კ.), როგორც საქმიდან ჩანს „ნივთების აღწერისა და ფულების მიღების შემდეგ მონასტრისა და ხალამბრის კარები დაიკეტა და ლუქით დაიბეჭდა ქუთაისის საბლაღოჩინო ბეჭდის და მონასტრის ბეჭდის დასმით. ასლი ამა ოქმისა რჩება ხალამბარაში, თანახმათ საბჭოს დადგენილებისა. სინამდვილეს ამ ოქმისა ვამოწმებთ ხელის მოწერით - სამიტროპოლიტო საბჭოს წევრნი: ს. ყიფიანი, დეკანოზი თომა დუგლაძე, განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე ა. შენგელია. დავესწარი და ხელს ვაწერ და ამასთანავე ვადგენ წერილობით ჩემს აზრსა და განცხადებას გელათის არქიმანდრიტი ნიკოლოზი. მონასტრის დროებითი მმართველი მ-ღზ-ი. ზენონ“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.27642 ფ. 22, 47) არქიმანდრიტი ნიკოლოზი ამ ოქმში შესატან განცხადებაში, რომელიც ასევე 23 ივნისითაა დათარიღებული, აღნიშნავს: „1918 წლის აპრილის თვეში, შიშიანობისა გამო ანტონ მიტროპოლიტის განკარგულებით და თანდასწრებით მონასტრის ძვირფასეულობა იქნა გადამალული და ეკლესია გაუღებლივ დაკეტილი, ხოლო კლიტეები იმ დღიდან მე ჩავიბარე გარდა ორისა, რომლებიც დარჩნენ ერთი სამხრეთ გარეთ კარისა მღვდელ-მონაზონ ზენონის ხელში და ერთი ჩრდილოეთ გარეთ კარისა დარაჯ ერმილე გელაძის ხელში. 1919 წელს მღვდელ-მონაზონმა ზენონმა შეიტანა სამიტროპოლიტო საბჭოში რაპორტი, რომელშიაც საჩივრის გვარად აღნიშნა, რომ ხალანბარაში დარჩომილ ნივთებს და ფულს რაღაცეები უნდა აკლდეს. სამიტროპოლიტო საბჭომ დანიშნა ოთხის თვისის წევრისაგან კომისია საქმის გამოსაძიებლად. 9 თებერვალს კომისიამ ხალამბარა გახსნა, ფული ანგარიშისამებრ სწორი აღმოჩნდა, ხოლო ნივთები თვალ-მარგალიტი გაასინჯვინა თვით მღვდელ-მონაზონ ზენონს. მამა ზენონმა ყოველივე ამოალაგა, სადაც რამ შენახული ჰქონდა, თავის ხელით დაათვალიერა და განაცხადა, რომ ყველა ნივთი და თვლები უკლისად თავის ადგილზედ იმყოფება და ამაზედ შედგა ოქმი. ხალამბარა ხელმეორედ იქმნა დაკეტილი და საბჭოს კომისიისაგან ბეჭედდაკრული, ეგრეთვე თვით დიდი ეკლესიაც“. ამ ფაქტზე არქიმანდრიტი ნიკოლოზი გამოთქვამს აზრს, რომ შემდეგში

შემოწმება მოხდეს არქეოლოგებისა და თვალ-მარგალიტების მცნობ პირთა თანდასწრებით ძველ სიებთან შედარებით (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.27642 ფ.23).

1919 წლის აგვისტოში გელათის მონასტრის საგანძური კიდევ ერთხელ უკვე მესამედ შემოწმდა, ოღონდ არა ვინმეს საჩივრის გამო. როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესია-მონასტრების საგანძურის დაცვის მდგომარეობით დაინტერესებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელმაც 1919 წლის ივლისში დამფუძნებელი კრების წევრს, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს ექვთიმე თაყაიშვილს (წმინდა ექვთიმე ღვთისკაცს) დაავალა საქართველოს ეკლესია-მონასტრების ქონების (განძეულობის) „ცნობაში მოყვანა“ - აღწერა-შემოწმება. ამ მიზნით ეკლესია-მონასტრების შემოვლა „ერის მეჭურჭლეთუხუცესმა“ დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, იმერეთიდან დაიწყო.

1919 წლის აგვისტოს დასაწყისში, ქუთაისში ჩამოსული ექ. თაყაიშვილი ეპარქიის მმართველს, ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს წერდა: „მთავრობის განკარგულებით და საკათალიკოზო საბჭოს მოწერილობით მე დავალებული მაქვს ეკლესია-მონასტერთა დათვალიერება და მათში დაცული სიძველეთა და საგანძურის აღნუსხვა. ვინაიდგან ჩემთვის ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ეკლესიებისა და მონასტრების საინვენტარო წიგნები, უმორჩილესად გთხოვთ კეთილი ინებოთ და განკარგულება გასცეთ, რათა საინვენტარო წიგნებისა და საზოგადოდ აღწერილობითი სიების პირები მომაწოდონ მე ყველა მონასტრებიდან და ეკლესიებიდან, რომელიც თქვენს ეპარქიაში ირიცხებიან და რომელთაც მნიშვნელოვანი სიძველეები აქვთ“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.28081 ფ.1). წერილის დაწერის თარიღის აღმნიშვნელი რიცხვი გადაშლილია. იკითხება მხოლოდ თვე VIII (აგვისტო), რამდენადაც წერილზე დადებული რეზოლუცია დათარიღებულია 1919 წლის 5 აგვისტოთი, ამდენად წერილი დაწერილია 1-5 აგვისტოს შორის.

ქუთაისში ექ. თაყაიშვილის ჩამოსვლა აღნიშნა პრესამაც. 5 აგვისტოს N142-ში, გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ წერდა: „ამჟამად ქუთაისში იმყოფება დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც მთავრობისაგან დავალებული აქვს ინახულოს ქალაქებისა და სოფლების ეკლესიები და მონასტრები მათში არსებული ძვირფასეულობის აღსანიშნავად. ბ-ნი თაყაიშვილი უკვე შეუდგა თავის დავალების აღსრულებას და ათვალიერებს ეკლესიებს საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის ბ. ტრიფონ ჯაფარიძის და ერობის წარმომადგენელის ვასილ ფალავანდიშვილის თანდასწრებით.“

ექვთიმე თაყაიშვილის ქუთაისში ჩამოსვლა დაემთხვა გელათის მონასტრის განძეულობის დაცვის გამო აღძრულ საქმეს, ზემოთ განხილულ, მღვდელ-მონაზონ ზენონის 7 აგვისტოს განცხადებას, რომლის შესწავლა-შემოწმება მიტროპოლიტ ნაზარს ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ტრიფონ ჯაფარიძისათვის ჰქონდა დავალებული, თუმცა სპეციალური შემოწმება საჭირო აღარ გახდა, რადგან კომისია, ექ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, უკვე ახდენდა მონასტრის განძეულობის აღწერას. შემოწმება ჩატარდა 1919 წლის 6-10 აგვისტოს, რაც შესაბამისი ოქმით გაფორმდა: „1919 წელსა აგვისტოს

6-10 დღესა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ევთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილმა და მისმა ამხანაგმა იმავე უნივერსიტეტის პროფესორმა დეკანოზ კორნელ კეკელიძემ თანახმად მთავრობის დავალებისა შეამოწმეს და ცნობაში მოიყვანეს გაენათის მონასტრის განძეულობა. სახელდობრ: ხატები, თავისი სამკაულებით და ძვირფასი თვლებით, ხელთნაწერები, საეკლესიო ჭურჭლები, შესამოსლები, და სხვა თანდასწრებით ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარისა, სამიტროპოლიტო საბჭოს წევრის და ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ტრიფონ ჯაფარიძისა, ქუთაისის სამაზრო ერობის წარმომადგენლის გამგეობის წევრის ვასილ ფალავანდიშვილის, მონასტრის მმართველი არხიმანდრიტი ნიკოლოზის და ეკონომოს - იღუმენ ზენონისა და აღმოჩნდა, რომ ის ნივთები, რომელიც აღნიშნულია მონასტრის ქონებითი სიაში 1906 წლის 27 დეკემბრისა, ყოველივე არის სრულად და უკლებლად. შემოწმების დროს კომისია ხელმძღვანელობდა გარდა მონასტრის ქონებითი სიისა გაენათის მონასტრის შესახებ არსებული ლიტერატურით და აგრეთვე ჯერ გამოუქვეყნებელი ხელთნაწერთა და ნივთთა აღწერილობით, რომელიც სხვადასხვა დროს დამუშავებული აქვსთ ევთიმე სიმონის ძე თაყაიშვილს და დეკანოზ კორნელი კეკელიძეს. ამასთანავე კომისიამ ნახა ისეთი ნივთები, რომელიც მონასტრისათვის შემოუწირავს მლოცველებს ზემოხსენებული ქონებითი სიის შედგენის შემდეგ და ჯერ ქონებით სიაში არ ჩაწერილა.

კომისიამ შენიშნა, რომ ქონებითი სია არ არის სისტემატიურად და ჯეროვან რიგზე შედგენილი.

ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი
დეკანოზი კორ. კეკელიძე
ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი
ტრიფონ ჯაფარიძე
ვასილ ფალავანდიშვილი
არქიმანდრიტი ნიკოლოზი
მღვდელ-მონაზონი ზენონ“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.28081 ფ.4).

ოქმიდან ჩანს, რომ გელათის მონასტრის განძეულობა კარგად დაცული აღმოჩნდა. მიტროპოლიტ ნაზარ ქუთათელმა ამ ოქმს, „მეტად დიდმნიშვნელოვანი ოქმი“ უწოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გელათის მონასტერში საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან დასაცავად გადმოტანილი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო განძეულობა ინახებოდა. ასე აღმოჩნდნენ გელათის მონასტერში დაცულნი ხახულის ღვთისმშობლისა და აწყურის ღვთისმშობლის ხატები, ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი და კიდევ მრავალი სხვა სიწმინდე, რომელთაც 1920 წელს ჯრუჭის მონასტრიდან გადმოტანილი ძვირფასი საეკლესიო ნივთები დაემატა (დაწვრილებით იხილეთ - კეზევაძე მ. - გელათში დაცული ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი ნივთ-სამკაულის შესახებ. „საქართველოს სიძველენი“. N4-5. 2003 გვ.267-272).

1919 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებითა და ქუთაისის საეპარქიო

საბჭოს ამავე წლის 28 ოქტომბრის N3776 მოხსენების საფუძველზე - „საეკლესიო ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი ნივთების შენახვის შესახებ „სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ მიიღო უმნიშვნელოვანესი განჩინება, რომელშიც ნათქვამი იყო: „ჯრუჭის, კაცხის ჭელიშის მონასტრის ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი ნივთები მოთავსებულ იქნას დროებით გელათის მონასტერში, წალენჯიხის, კორცხელის და ახალ დაბის (ჭკადუაში) ხობში, ხელთნაწერები, ნაქსოვ-ნაკერები და გარდამოხსნები აღნიშნულ ალაგებიდგან გადმოტანილი იქნას დასაცველად ტფილისის საეკლესიო მუზეუმში, ხოლო მარტვილის მონასტრის სიძველეთა ადგილობრივ დასაცველად გამოთხოვილ იქმნეს ჭყონდიდის საეპარქიო საბჭოს მიერ დარაჯები“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.28191 ფ.2).

ამ განჩინების საფუძველზე, 1919 წლის 27 ნოემბერს, ქუთაისის საეპარქიო საბჭომ დაადგინა: „ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი ნივთები ჯრუჭის მონასტრიდან გადმოტანილი იქნეს გაენათის მონასტერში რკინისგზით დარკვეთის სადგურიდან გელათის სადგურამდე, საიდგანაც ურმით ატანილ იქმნან თვით გელათის მონასტერში. ამ ნივთებს ჯრუჭის მონასტერში ცალკე აღწერილობაზე ხელის მოწერის ქვეშ მიიღებს წამოსაღებად ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე, რომელიც აგეთივე აღწერილობაზე ხელწერილ ქვეშ ჩააბარებს იმ ნივთებს გელათის მონასტრის წინამძღვარს არხიმანდრიტს ნესტორს. ეთხოვოს ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს მოახდინოს განკარგულება რათა ეს ნივთები თავისი მხლებლებით და მცველებით დაუბრკოლებლად იქმნენ მიღებული რკინისგზის მატარებელში“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.28191 ფ.7).

1920 წლის 30 იანვარს, ამ დადგენილების შესაბამისად, გელათის მონასტერში დასაცავად ჩამოიტანეს ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი 47 დასახელების საეკლესიო ნივთი. ჯრუჭის მონასტერი, გელათის მსგავსად, მდიდარი იყო ძვირფასი ნივთებით. 1906 წლის აღწერის მიხედვით აქ დაცული იყო 60 ხატი (ძირითადად მოოქროვილი ვერცხლისა და ვერცხლის), 15 ვერცხლის კანდელი, 48 სამღვდელმთავრო შესამოსელი, 191 სამღვდელო შესამოსელი (ამ უკანასკნელით განსაკუთრებით მდიდარი იყო ჯრუჭი - მ.კ.), 88 ხელნაწერი და სხვა (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.22510).

გელათში გადმოტანილი ჯრუჭის მონასტრის ნივთ-სამკაულის შესახებ უნდა გავიხსენოთ შემდეგი ფაქტი: 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ, თბილისიდან ქუთაისში ჩამოტანილ და იქაურ ხაზინაში დაბინავებულ განძეულობას ადგილზე დახვდა ძვირფასი საეკლესიო ქონება. როგორც გ. ჟორდანია წერს: „ჯერ კიდევ თბილისური განძისა და სხვა ქონების მიღებამდე, 1920 წლის დამლევს, ქუთაისის ხაზინას შემატებია მეტად ძვირფასი განძეულობა დასავლეთ საქართველოს მონასტერთა საცავებიდან - მარტვილიდან და გელათიდან, მაგრამ გელათის მონასტრის განძეულობა ჩამოუტანია არაკომპეტენტურ პირს, რომელსაც ძვირფას ნივთებთან ერთად გელათიდან წამოუღია ნაკლებ ღირებულიც“, ამიტომ ეს ნივთები ქუთაისის ხაზინაში მყოფ ექვთიმე თაყაიშვილს გადაურჩევია და რაც „სამუზეუმოდ უცვნია ყუთებში ჩაულაგებიათ, დაუბეჭდიათ და ვაგზალზე გასაგზავნად გაუმზადებიათ; ხოლო და-

ნარჩენი ქონება ხელწერილით ჩაუბარებიათ მიტროპოლიტ ნაზარის წარმომადგენლისათვის“ (გ. ჟორდანია - დაბრუნებული საუნჯე, თბ.1983, გვ.43). სამუზეუმო ქონება მოუთავსებიათ 19 მომცრო ყუთში. გ. ჟორდანიას აზრით „აქედან ალბათ ერთი იყო მარტვილის ქონებით დატვირთული, დანარჩენი თვრამეტი გელათური ქონებით“(იქვე, გვ.46).

ჩემის აზრით, სწორედ „გელათურ ქონებაში“ იდო შემდგომში საფრანგეთიდან დაბრუნებული შ. ამირანაშვილის მიერ ძმების, მიტროპოლიტ დავით და გრიგოლ წერეთლების კუთვნილ ქონებად მიჩნეული და აღწერილი (შ. ამირანაშვილი - „საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება“, თბ. 1978, გვ.46, 47, 56), რეალურად კი, ჯრუჭის მონასტრის ნივთები, რომლებიც აქ ქუთაისის ხაზინაში, 1920 წლის 23 ნოემბერს ჩამოიტანეს გელათის მონასტრიდან, ამავე მონასტრის კუთვნილ ქონებასთან ერთად, რაც დასტურდება გაზეთ „საქართველოს“ 1920 წლის 10 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი გელათის მონასტრიდან ქუთაისის ხაზინაში ჩამოტანილი ნივთების სიით, სადაც, გელათის კუთვნილ ნივთებთან ერთად, დაბეჭდილია ჯრუჭის მონასტრისეული ნივთების სია, რომლებიც ერთ ყუთში ყოფილა მოთავსებული, ოღონდ, თუ გელათში გადმოტანისას ისინი 47 დასახელებაში იყო გატარებული (რიცხობრივად გაცილებით მეტი იყო), ხაზინაში წამოღებისას 30 დასახელებად აღნუსხეს. ჩამოტანილი ნივთები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაარჩია ექვთიმე თაყაიშვილმა და ისინი შემდეგ საფრანგეთში აღმოჩნდნენ.

გელათის მონასტრის საეკლესიო ნივთ-სამკაულის (ჯრუჭის მონასტრის ნივთებთან ერთად) მონასტრიდან გატანა კი შემდეგნაირად მოხდა: 1920 წლის 3 ნოემბერს, გელათის მონასტრის იღუმენმა ზენონმა და მღვდელ-მონაზონმა ექვთიმემ, მონასტერში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, რამდენიმე საეკლესიო და ისტორიულ ღირებულებას მოკლებული ძვირფასი ლითონის ნივთი მიჰყიდეს ქუთაისში მცხოვრებ მოქალაქე ზებულონ ისრაელის ძე პაპიაშვილს (ქ.ც.ა. ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.1). ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსმა ეს ნივთები ჩამოართვა მყიდველს და დაიწყო გამოძიება. იღუმენმა ზენონმა და მღვდელ-მონაზონმა ექვთიმემ გამოძიებას განუცხადეს, რომ ქუთათელი მიტროპოლიტ ნაზარისაგან ჰქონდათ ნებართვა (ქ.ც.ა. ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.2), მაგრამ, რადგან ამ ნებართვაზე იმერეთის საეპარქიო კანცელარიაში შესაბამისი საქმე არ აღმოჩნდა, მიტროპოლიტმა ნაზარმა გამოძიებას მიუთითა, რომ ახსნა-განმარტება მიეღოთ არქიმანდრიტ ნესტორისაგან. 20 ნოემბერს არქიმანდრიტმა ნესტორმა მიტროპოლიტ ნაზარს მოახსენა, რომ 16 ნოემბერს, მონასტერში მისულა ქუთაისის ერობის თავმჯდომარე და ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსი და მიუცია ჩვენება ნივთების გაყიდვაზე. ის, რაც ნებადართული ეგონა არქიმანდრიტს, მათი თქმით, უნებართვო ყოფილა. აღნიშნული ფაქტი შეფასდა, როგორც საეკლესიო ქონების ხელყოფა, რამაც იმჟამინდელ საერო ხელისუფლებას უფლება მისცა საგანძურის დიდი ნაწილი გელათიდან, სასულიერო ხელისუფლების უკითხავად, ქუთაისის ხაზინაში გადაეტანა. 19 ნოემბერს მილიციის უფროსს წერილობით უცნობებია მო-

ნასტრის წინამძღვრისათვის იმის თაობაზე, რომ საეპარქიო კანცელარიაში ნებართვაზე არაფერი ცნობები არ ყოფილა დაცული, 20 ნოემბერს მილიციის უფროსი, თანმხლები მილიციონერებით, ისევ მისულა მონასტერში და მთავრობის განკარგულების აღსასრულებლად დაუბეჭდავს მონასტრის მთავარი ტაძარი (ქ.ც.ა. ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.4), 23 ნოემბერს კი გელათის მონასტერში მივიდა მთავრობის წარმომადგენელი, ქუთაისის ერობის გამგეობის თავმჯდომარე, მაზრის მილიციის უფროსი, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი 15 მილიციონერით და გელათის საგანძურის დიდი ნაწილი დასაცავად ქუთაისის ხაზინაში გადაიტანეს (ქ.ც.ა. ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.6). უფრო დეტალურად მომხდარის შესახებ განძეულობის გადატანის ოქმშია მოთხრობილი: „1920 წელსა ნოემბრის 23/24 დღესა ჩვენ - მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა გ. ცინცაძემ, ქუთაისის სამაზრო ერობის თავმჯდომარემ კ.ა. სულაქველიძემ, ოლქის სასამართლოს პროკურორმა ნ.მ. იამანიძემ და ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსმა ი. ახვლედიანმა - თანახმად პირველი ჩვენგანის წინადადებისა მან მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა მოსთხოვა მონასტრის ეკონომსს მღვდელ-მონაზონს ექვთიმეს და მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს ნესტორს ეჩვენებინა მონასტრის განძეულობა, რაიცა აღმოჩნდა ეკლესიის კედელში დაფარულ ოთახში (ეს იყო ღვთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხეველში, სადიაკვნის თავზე მოწყობილი სამალავი - მ.კ.), რომელ შესავალი იყო ახლად ამოშენებული ქვით და ტალახით, მაგრამ შეუთეთრებელი; როდესაც ზევით ოთახში ავედით, იქ აღმოჩნდა ხუთ ყუთში ჩაწყობილი განძეულობა /ერთი მათგანში იყო ჯრუჭის მონასტრის განძეულობა/ და ორი დიდი ხატი კედელზე მიყუდებული - ერთი ხახულის ღვთის მშობლისა და მეორე გელათის ღვთის მშობლისა და სამი პატარა ხატები, რომელთაგან ორზე ოქროს ნაწილები და თვლები თითქმის სრულიად აცილებული აქვთ. ამასთანავე ხახულის ღვთის მშობლის ხატზე აცილებულია რამოდენიმე თვალი, რომელთაგან ერთი თვალი ახლად აცილებული უნდა იყოს[1]. სულ ყველა ყუთები აღმოჩნდა დაუკეტელი. მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულის წინადადებით სულ ყველა ყუთები იქნა დაბეჭდილი თანადასწრებით არქიმანდრიტის ნესტორისა, ეკონომოსის ექვთიმესი, ბერ-მონაზონის დოროთესი და მოწამეთის მონასტრის წინამძღვარის არქიმანდრიტის ნიკოლოზისა. აღნიშნული ყუთები იქნა წაღებული ქუთაისის ხაზინაში, ხოლო ხა-

1 აღნიშნული ხატის შემოწმება განმეორებით მომხდარა 1921 წლის 6 მარტს, იმჟამად გელათში მყოფი კათალიკოს პატრიარქის, ლეონიდეს განკარგულებით. შემოწმების აქტში ვკითხულობთ: „1921 წელსა მარტის 6 დღესა იქმნა ჩამოსვენებული ხახულის ღვთისმშობელი მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის განკარგულებით და დათვლილი იქმნა ამოვარდნილი თვლების ალაგები და აღმოჩნდა შემდგომი: მარჯვენა ფრთაზე აკლია ოთხი თვალი ხატის ძირზე ერთი და ზემორე ნაწილზე ორი, ხოლო მარცხენა ფრთაზე არც ერთი, რასა შინა ხელს ვაწერთ: დავესწარი კათალიკოზი ლეონიდი, დავესწარი მიტროპოლიტი ნაზარი, გელათის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი ნესტორი, იღუმენი დოროთე, იღუმენი მათე, მღვდელმონაზონი სილოვანე, მღვდელმონაზონი ეპიფანე, მღვდელმონაზონი დოდო, მღვდელმონაზონი ექვთიმე, მღვდელმონაზონი სვიმონი“ (ქ.ი.მ. N3443 - მ.კ.)

ხულის ღვთის მშობლის ხატი და სამი პატარა ხატები იქნა ჩალაგებული ყუთში, რომელიც დაიბეჭდა სამაზრო ერობის გამგეობის და გელათის წინამძღვრის ბეჭდებით; მეორე გელათის ღვთის მშობლის ოქროს ხატი იქვე იქნა დატოვებული პირველთაგან ერთად. ზემოაღნიშნულნი ყუთები მილიციელთა რაზმის და ჩვენი თანხლებით იქნა ჩამოტანილი ქუთაისის ხაზინაში, იმ ღამესვე ჩაბარებულ იქნა ხაზინადარისადმი და მოთავსებული ხაზინის სალაროში. მეორე დღეს - 24 ნოემბერს - თანადასწრებით გელათის და მოწამეთის წინამძღვართა, ეკონომოსის ექვთიმესა, ჩვენისა და ხაზინის ორი ნაფიც მოანგარიშეთა თედორაძის და კერესელიძის დახმარებით იქნა ყუთები გახსნილი, მთელი განძეულობა აღწერილი და ჩალაგებული ერთი რკინის ყუთში, რომელიც იქნა დაკეტილი და დაბეჭდილი ოთხი ბეჭდით - სამაზრო ერობის გამგეობისა, პროკურორისა, გელათის არხიმანდრიტისა და ხაზინადრისა. გასაღები რკინის ყუთისა იქნა წაღებული მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულის მიერ. განძეულობის სიის ასლებისაგან ორი მიეცა გელათის წინამძღვარს, ერთი ხაზინადარს და ნამდვილი კი წაიღო მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულმა - ჩაწერილია: „ჩაბარებული“.

მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებული გ. ცინცაძე; ოლქის სასამართლოს პროკურორი იამანიძე; ერობის გამგეობის თავმჯდომარე სულაქველიძე; ქუთაისის მაზრის მილიციის უფროსი ახვლედიანი. ხელს ვაწერ იმ დამატებით, რომ ხახულის ღვთის მშობლის ხატის მარცხენა ფრთაზე ორი თვლის ადგილია ცარიელი და ეტყობა ახალი ამოღებულობა, მოწამეთის წინამძღ. არხიმ. ნიკოლოზი. წინამძღვარი გელათის მონასტრისა, არხიმანდრიტი ნესტორ“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.2 ს.3529 ფ.7).

აღნიშნული ფაქტი მთავრობის ეკლესიასთან დაპირისპირების საბაბად იქცა. როცა კათალიკოს-პატრიარქმა, ლეონიდემ ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს უმოქმედობა დაუწუნა, ამ უკანასკნელმა ამ საქმეში არქიმანდრიტ ნესტორის დადანაშაულება მოინდომა, თუმცა უშედეგოდ, თავად კი მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას 1921 წლის 5 იანვარს, შემდეგი წერილი გაუგზავნა: „26 ამ დეკემბერს ქ. ქუთაისში გახსნილ საეპარქიო კრებამ 600 სამრევლოთა სამღვდელოების და მორწმუნე ერის წარმომადგენლებმა, მოისმინა რა გელათის ძვირფას განძეულობის ქუთაისის ხაზინაში გადატანის შესახებ, დაადგინა: 1) გამოეცხადოს პროტესტი მთავრობას, რომ მან წინაღმდეგ მორწმუნეთა სურვილისა, გამოთქმულის მეორე საეკლესიო კრებაზე, სასულიერო მთავრობის დაუკითხავად და ნებადაურთველად, წამოიღო გელათიდან ფასდაუდებელი საეკლესიო განძეულობა-სიწმინდე, რომელიც მორწმუნე ერის გრძნობა გონებაში სამარადისოდ შეკავშირებულია გელათის მონასტერთან; 2) მოეთხოვოს კრების სახელით განძეულობის უკანვე დაბრუნება გელათის მონასტერში. მორწმუნე ერის აღშფოთებული სინიდისის და შებღალულ სარწმუნეობრივ გრძნობათა დასამშვიდებლად, წინაღმდეგ შემთხვევაში სამღვდელოება და მორწმუნე ერი იტოვებენ თავისუფალი მოქმედების უფლებას“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.2 ს.3528 ფ.3). უნდა აღვნიშნოთ, რომ მიტროპოლიტ ნაზარს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდესაგან უმოქმედობა არ უნდა დაბრალებოდა. ქუთაისის საეპარქიო საბჭოს მიტროპოლიტ ნაზარის ხელმძღვანელობით, ჯერ კიდევ,

1920 წლის 5 თებერვალს, ჰქონდა მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყველა მონასტრების წინამძღვრებს ევალებოდა „არავის მონასტრიდან ადგილობითი საეპარქიო მთავრობის ნებადაურთველად არავითარი სამონასტრო და საზოგადოდ მონასტერში დაცული ნივთი, წიგნი იქნება, ხატი, ჯვარი ან სხვა რაიმე არ გაატანონ“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.28081 ფ.37). საეპარქიო საბჭოს ეს დადგენილება 1919 წელს იმერეთის ეპარქიის ზოგიერთი მონასტრიდან იმჟამად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის რწმუნებულის, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ იმერეთის ზოგიერთი მონასტრიდან სამუზეუმო ნივთების წაღებას მოჰყვა. ქუთაისის ხაზინაში გადატანილი საგანძურის დიდი ნაწილი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ, 1921 წელს, საფრანგეთში გაიტანეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საეკლესიო საგანძურის დაცვაზე უკვე ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ზრუნვა, თუმცა ეკლესიის მესვეურთ თავის პასუხისმგებლობა არ მოუხსნიათ. ამის დასტურად გამოდგება გელათის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ნესტორის, 1921 წლის 4 ივლისის წერილი მიტროპოლიტ ნაზარ ქუთათელისადმი, რომელშიც კარგად არის აღწერილი შექმნილი მდგომარეობა და წინამძღვრის სიფრთხილის გამძაფრებული გრძნობა. წერილში ვკითხულობთ: „ვინაიდან სოფლად ძლიერ გახშირდა ცარცვა-გლეჯა, ჩვენ - კრებულმა გელათის მონასტრისამ ვიქონიეთ ამაზე მსჯელობა და გადავსწყვიტეთ ქვეყნის ასე თუ ისე დაწყარებამდი დავკეტოთ დიდი ეკლესია. ღვთის მსახურება ვასრულოთ მონასტრის მეორე ეკლესიაში და სახელდობრ წმ. გიორგის ეკლესიაში და დიდი ეკლესიის ყველა გასაღებები მივიტანოთ თქვენ მაღალ მეუფესთან დასაცველად, რომ ვინცობაა ავაზაკებმა აქაც არ მოიტანონ და ძალდატანებით არ გაგვაღებინონ დიდი ეკლესია და თუ რაიმე წაუღებელი დატოვა მენშევიკურმა მთავრობამ, ახლა არ გაიტაცონ ავაზაკებმა, ამ გადაწყვეტილების გამო პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ დიდი ეკლესიის ყველა გასაღებები და გთხოვოთ მიიღოთ ჩემგან გასაღებები დასაცველად, სანამ ამას ცხოვრების მიმდინარეობა მოითხოვდეს, მით უმეტეს ეს დავინახეთ საჭიროდ, რომ მონასტერს კარგა ხანია მთავრობამ მეორე დარაჯი მოაკლო და ერთი ვერაფერს გააწყობს, რომ რამე უბედურება მოხდეს.

4 ივლისი 1921

წინამძღვარი გელათის მონასტრის არხიმანდრიტი ნესტორ“ (ქ.ი.მ. N3451).

არქიმანდრიტ ნესტორის ას თხოვნა-წერილი აუსრულებელი დარჩა. 1921 წლის 22 აგვისტოს, ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარიამ წინამძღვარს მისწერა „ცნობად და ჯეროვანი განკარგულებისათვის“, რომ „მისმა მეუფებამ ქუთათელ მიტროპოლიტმა ნაზარმა განიხილა რა თქვენი მოხსენება მონასტრის დიდი ეკლესიის დროებით დაკეტვაზე და ყველა მისი გასაღებების მიტროპოლიტისათვის ჩაბარებაზე, დაადგინა: „18.7.21 წ. ამ მოხსენებაში აღნიშნული გელათის დიდი ტაძრის ყველა გასაღებები

დაუბრუნდეს უკანვე მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნესტორს, რომელსაც კანონით ევალება მათი დაცვა და შენახვა“.

ამასთანავე კანცელარია დასძენს, რომ ყველა გამოგზავნილი გასაღებები ჩაბარდა იკონომოსს მღ. მონაზონ ეპიფანეს თქვენდა ჩასაბარებლად.

კანცელარიის გამგის მოადგილე: მღ. ცაგარეიშვილი“ (ქ.ი.მ. N3444), ანუ რაც ჩვენ მონასტრის წინამძღვრის გამძაფრებულ სიფრთხილედ ჩავთვალეთ, მიტროპოლიტმა ნაზარმა დაკისრებული მოვალეობის შესრულების აცილებად მიიჩნია, რაც იმის დადასტურებაცაა, რომ ამ დროისათვის მიტროპოლიტსა და არქიმანდრიტს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო სხვადასხვა საკითხის გამო.

მონასტრის განძეულობის დაცვას, თავის კუთხით, ყურადღებას არ აკლებდა საქართველოს საპატრიარქო. 1921 წლის 12 აგვისტოს საპატრიარქოს კანცელარიამ გელათის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნესტორს ცირკულიარი წერილით აცნობა, რომ „თანახმად საკათოლიკოზო საბჭოს მოწერილობისა, 6 ამა აგვისტოდან, N1774 ამით გევალებათ სამღვდელოების საშუალებით განუმარტოთ სამრევლოებს და საზოგადოთ ეკლესიის და მონასტრის ახლოს მცხოვრებ მორწმუნე ერს - მონასტრების და განძეულების სარწმუნეობრივი, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა და წინადადება, მიეცესთ მათ, მოძღვრებთან ერთად აღიმაღლონ თავისი ხმა განძეულების დაცვისათვის, თანახმად წარსული წლის საეკლესიო კრების დადგენილებისა, თუ მორწმუნე ერის და სამღვდელოების ხმას ამ შემთხვევაში ყურადღება არ მიაქციონ და საეკლესიო განძეულებას ძალმომრეობით დაუპირონ მონასტრებიდან ან ეკლესიებიდან წაღება, იმ შემთხვევაში მორწმუნე ერს, სამღვდელოებას და სხვა საეკლესიო დაწესებულებათა, როგორც უმწეოთ დარჩენილებს ძალმომრეობის წინაშე, ევალებათ განაცხადონ პროტესტი და მოითხოვონ მოძალადეთაგან ამ პროტესტის ოქმში შეტანა, რათა თავისუფალი იყვნენ ყოველივე პასუხისმგებლობისაგან განძეულების წაღებისათვის, ხოლო ვინც ამ გაფრთხილებას ყურადღებას არ მიაქცევს რაიმე მოსაზრებით საეპარქიო მთავრობის დაუკითხავად და ნება დაურთველად, მისდამი რწმუნებულ საეკლესიო ან სამონასტრო განძეულებას ვისმეს გადასცემს, ან ასეთ გადაცემაზე თანხმობას განაცხადებს, ის სასულიერო მთავრობისაგან იქნება პასუხისგებაში მიცემული, როგორც ორგული შვილი და მტერი ეკლესიისა.

12 აგვისტო 1921 წ. N1236“ (ქ.ი.მ. N3445).

მონასტრის საგანძურის დაცვაზე ზრუნავდა ახლად დაარსებული ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმიც. მუზეუმის დირექტორი, ტრიფონ ჯაფარიძე მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნესტორს ერთერთ წერილში ატყობინებდა: „საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოდან მე მაქვს მინდობილი ქუთაისის გუბერნიაში ყოველგვარ საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთთა დაცვა, ამიტომ თქვენ, როგორც პასუხისმგებელ წინამძღვარს ამ გუბერნიის უმთავრეს საარქეოლოგიო ნაშთის - გელათის დამცველის, იყოთ ფრთხილად და არავინ შეეხოს ამ შენობას, ან გალავანს ან ნივთებს და თუ ამისთანა რამ იქნეს დაუყოვნებლივ საჩქაროთ გამოგზავნილი განსაკუთრებული მოამბით მაცნობოთ სათანადო ზომების მისაღებად“ (ქ.ი.მ. N3518).

ცნობილი ფაქტია, რომ 1923 წლის 5 ივნისს საბჭოთა ხელისუფლებამ ადმინისტრაციული წესით გააუქმა (დაკეტა) გელათის მონასტერი, რის შემდეგაც, მონასტრის ყოველგვარ ქონებაზე პასუხისმგებლობა, მათ შორის საეკლესიო საგანძურზე, დაეკისრა ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს. იმავე წლის 21-25 აგვისტოს მუზეუმის თანამშრომელთა კომისიამ აღწერა მონასტრის მთელი ქონება, რომლის ნაწილი 1924 წლის 22 ნოემბერს გადატანილი იქნა მუზეუმში (ტყეშელაშვილი გ. - გელათის საგანძური, ქუთ, 2007 გვ.281-292), ძირითადი ნაწილი კი, მონასტერში დატოვა, მათ შორის, ცნობილი ხახულის ღვთისმშობლის ხატი, საიდანაც ის მოგვიანებით, 1952 წელს, თბილისში ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს.

ასეთია, მოკლედ გელათის მონასტრის საგანძურის ისტორია 1918-1923 წლებში. მართალია, დროის მონაკვეთი მცირეა, მაგრამ მრავალ საინტერესო ფაქტს მოიცავს. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში არსებული ორივე ხელისუფლების, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის, ასევე საბჭოთა ხელისუფლების საერო და სასულიერო მმართველნი ცდილობდნენ, დაეცვათ მონასტრის საგანძური, ხოლო, თუ როგორ მოახერხეს ეს, სტატიაში მოტანილი ფაქტებიდან ნათლად ჩანს.

დასკვნა

გელათის მონასტრის საგანძურის ისტორიის საკვლევი პერიოდი - 1918-1923 წლები, მართალია, დროის მცირე მონაკვეთია, მაგრამ მრავალ საინტერესო ფაქტს მოიცავს. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში არსებული ორივე ხელისუფლების, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის, ასევე საბჭოთა ხელისუფლების საერო და სასულიერო მმართველნი ცდილობდნენ, დაეცვათ მონასტრის საგანძური, ხოლო, თუ როგორ მოახერხეს ეს, სტატიაში მოტანილი ფაქტებიდან ნათლად ჩანს.

სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის - „გელათის მონასტრის არქივის (1811- 1923წწ.) მეცნიერული კვლევა, კატალოგიზაცია და დიგიტალიზაცია“ (FR- 21-1193) ფარგლებში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ამირანაშვილი, შ. (1978). *საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება.* თბილისი.

კეზევაძე, მ. (2003). გელათში დაცული ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი ნივთ-სამკაულის შესახებ. *საქართველოს სიძველენი.* № 4-5.

ჟორდანია, გ. (1983). *დაბრუნებული საუნჯე.* თბილისი.

ქუთაისის ცენტრალური არქივი (ქ.ც.ა.). ფონდი (ფ.) 21. ანაწერი (ან.) 1. საქმე (ს.): 22510, 26516, 26517, 27374, 27642, 28081, 28191; ან.2 ს.3528, 3529.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმი (ქ.ი.მ.) - გელათის მონასტრის არქივი №№ 3443, 3444, 3445, 3451, 3518.

ტყეშელაშვილი, გ. (2007). *გელათის საგანძური.* ქუთაისი.

REFERENCES

Amiranashvili, S. (1978). *Museum treasures taken out of Georgia at various times and their return*. Tbilisi

Kezevadze, M. (2003). Of the jewelry belonging to the Jruchi Monastery preserved in Gelati. *Georgian Antiquities.* No. 4-5.

Zhordania, G. (1983). *Returned Treasure*. Tbilisi.

Kutaisi Central Archive (KCA). Fund (F.) 21. Record (R.) 1. Case (C.): 22510, 26516, 26517, 27374, 27642, 28081, 28191; An.2 S.3528, 3529.

Kutaisi Historical Museum (KIM) - Gelati Monastery Archive №№ 3443, 3444, 3445, 3451, 3518.

Tkeshelashvili, G. (2007). *The Treasure of Gelati.* Kutaisi.

MERAB KEZEVADZE

FROM THE HISTORY OF THE GELATI MONASTERY TREASURY IN 1918-1923

Absract

For centuries, Gelati Monastery was one of the largest and richest repositories of church treasures in all of Georgia. In addition to the goldsmith's works of art created on site and donated to the monastery, you could also find church treasures brought here from various parts of Georgia for safekeeping. Despite frequent attacks and robberies, Gelati housed many ancient manuscripts, unique examples of precious metal engravings, and other items until 1923 (when the monastery was closed by the Soviet government), which later found their home in various museums in Georgia.

The period of the Russian Exarchate was particularly difficult for the Gelati Monastery, during which it was robbed several times. The Exarchate authorities and the local judicial police did not solve any of the crimes of that time. After the restoration of the autocephaly of the Georgian Church (March 12 (25), 1917), a new era began in the history of Gelati, which was reflected in the strengthening of the care and protection of the monastery's treasures.

The article, based largely on archival documents, describes the state of preservation of the Gelati treasure in 1918-1923 and tells about the contribution of the inhabitants of the village of Gelati to it. Moreover, it includes several facts of the inspection of the treasure, the history of the removal of church items and jewelry from the Jrucha Monastery, and the episode of the removal of the treasure from the monastery by decree of the Georgian government on November 24, 1920.

Keywords: Gelati Monastery, treasure, Khakhuli Icon of the Virgin Mary, Catholicos-Patriarch of Georgia Leonides, Metropolitan Nazar, Archimandrite Nestor.